სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის მიერ მოწმისთვის კითხვის დასმის მიმართება შეჯიბრებითობის პრინციპთან

თეო დემეტრაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბადრი ნიპარიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

,,როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.''

თეო დემეტრაშვილი

08.07.2024

აბსტრაქტი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2021 წლის 28 დეკემბერს მიღებული N3/2/1478 გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის მხრიდან მოწმისთვის კითხვის დასმასთან მიმართებით. ვინაიდან იგი ეხება სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის მხრიდან მოწმისთვის კითხვის დასმის რეგულირებას. კონსტიტუციურ წარდგინებამდე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (შემდგომში სსსკ), შეჯიბრებითობის პრინციპის ფარგლებში, მითითებული იყო, რომ მოსამართლეს შეეძლო მოწმისთვის დამაზუსტებელი კითხვის დასმა გარკვეული ბარიერების საფუძველზე. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ კი ნორმაში გააუქმა ის ნორმატიული შინაარსი, რაც ზღუდავდა მოსამართლეს კითხვის დასმის ნაწილში. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია გავიგოთ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გავლენა სისხლის სამართლის პროცესზე და ახლანდელი საკანონმდებლო რეგულირება.

მითითებული საკითხის კვლევისთვის განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ჩამოყალიბების ისტორია; შეჯიბრებითობის პრინციპის არსი; სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის როლი; საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე და მის შემდგომ არსებული საკანონმდებლო ჩანაწერის ანალიზი; იმ ქვეყნების მიდგომა დამაზუსტებელ კითხვასთან მიმართებით, რომელთა სისხლის სამართლის საპროცესო სისტემა შეჯიბრებითობის პრინციპზეა დაფუძნებული და საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე პრაქტიკოსი იურისტების მოსაზრებები. თითოეული ზემოთ დასახელებულ თემატიკა გამოვიკვლიეთ, ჩამოვაყალიბეთ და ვიმსჯელეთ შემდეგი კვლევითი მეთოდების საშუალებით: შედარებით სამართლებრივი, ისტორიულ სამართლებრივი და ემპირიული- იურისტების გამოკითხვით.

განხილული საკითხების შედეგად გამოვლინდა მოსამართლის მხრიდან მოწმისთვის დამაზუსტებელი კითხვის დასმის საჭიროება, თუმცა გარკვეული შეზღუდვის ფარგლებში, რაც შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარეობს. ცხადია, პრაქტიკოს

იურისტებში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ხსენებულ გადაწყვეტილებასთან და ნორმის რეგულირებასთან დაკავშირებით. ზოგიერთი აკრიტიკებს იმ აზრს, რომ მოსამართლეს უნდა ჰქონდეს მხარეთა თანხმობის გარეშე დამაზუსტებელი კითხვის დასმის შესაძლებლობა, ზოგი კი დადებითად აფასებს. დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის მაგალითზეც გამოიკვეთა, რომ მათი კანონმდებლობით მოსამართლე არ არის შეზღუდული დამაზუსტებელი კითხვის დასმაში. სამაგისტრო ნაშრომში ნამსჯელია კონსტიტუციურ წარდგინებასა და გადაწყვეტილებას შორის სხვაობაზე, კერძოდ, სიტყვა ,,დამაზუსტებელი'' გადაწყვეტილებასა და ახლანდელ რედაქციაში არ არის დაკონკრეტებული, რაც, თავის მხრივ, უზუსტობებს გამოიწვევს.

საბოლოო ჯამში, ნაშრომში კვლევის შედეგად დავადგენთ მნიშვნელოვანია თუ არა მოწმის დაკითხვისას დამაზუსტებელი კითხვით მოსამართლის ჩართულობა. არსებობს რისკი, რომ კითხვის დასმისას მხარეთა თანხმობის საჭიროებამ გამოიწვიოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაფარვა. ამასთანავე, გამოკითხული მხარეების მოსაზრებების მიხედვით, ისინი ხედავენ გარკვეულ რისკებს კითხვის დასმაშიც.

საძიებო/საკვანძო სიტყვები: შეჯიბრებითობის პრინციპი; მოსამართლის როლი; დამაზუსტებელი შეკითხვა; მოწმის დაკითხვა; სამართლიანი სასამართლო.

Abstract

Decision No. 3/2/1478, issued by the Constitutional Court of Georgia on December 28, 2021, holds significance in criminal proceedings, specifically regarding the questioning of witnesses by the judge. Prior to this constitutional amendment, the Criminal Procedure Code of Georgia allowed the judge to ask clarifying questions to witnesses within the confines of the adversarial system. The recent constitutional ruling abolished the restrictive clause concerning judges' inquiry rights, substantially altering the landscape. This master's thesis delves into the implications of the constitutional ruling on criminal proceedings and the existing legal framework.

The study examined the origins of the Criminal Procedure Code of Georgia, the adversarial principle, the judge's role, and the legislative record before and after the decision. It also looked at how countries approach the adversarial principle and gathered opinions from practicing lawyers. The research used comparative legal, historical legal, and empirical methods through lawyer surveys.

Due to the issues discussed, the judge's need to ask clarifying questions to the witness was highlighted, albeit with certain limitations stemming from the adversarial principle. There are varying opinions among legal practitioners on the regulation of this norm. Some critique the judge's ability to ask questions without party consent, while others support it. Comparing Great Britain and the United States, their laws reveal that judges face no restrictions in seeking clarifications. The master's thesis examines the distinction between constitutional submission and decision-making, noting the absence of the term "clarifying" in the current edition, leading to potential uncertainties.

Ultimately, as a result of the study in the paper, it was determined whether the involvement of the judge with clarifying questions during the interrogation of the witness is important. Requiring parties' consent before asking a question may result in withholding vital case information. At the same time, the interviewed parties express reservations about posing questions.

Search/keywords: Adversarial principle; the role of the judge; clarifying question; questioning of a witness; fair trial.